პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 183 (10 102)
23 სექტემბერი,
შაბათი,
1989 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

## საინფორმაციო ცნობა

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1989 წლის 20 სექტემბერს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე კვლავ განიხილავდნენ სკკპ პლატფორმის პროექტსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებას „თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის შესახებ“.

კამათში გამოვიდნენ: ი. ა. ქარიმოვი — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გ. ი. უსმანოვი — სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ი. ი. ვაგრისი — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ი. ვოლსკი — მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის განსაკუთრებული მმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე, მ. თ. ნენაშევი — სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ნ. ვ. გელერტი — ამანგელდის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, ყაზახეთის სსრ, ა. ა. ვლასენკო — სკკპ სმოლენსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, მ. ი. იუსუპოვი — სკკპ დაღესტნის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა.-რ. ხ. ვეზიროვი — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ე. ი. ჩაზოვი — სსრ კავშირის ჯანდაცვის მინისტრი, ე. ა. ელისეევი — სკკპ ყაბარდო-ბალყარეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. ლ. კორსუნსკი — სკკპ ებრაელთა ავტონომიური ოლქის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ხაბაროვსკის მხარე, ვ. ვ. ბაკატინი — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი, გ. ჩ. შირშინი — სკკპ ტუვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. მ. მიშინი — საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი.

პლენუმზე შექმნილი სარედაქციო კომისიის სახელით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. მედვედევი.

პლენუმმა მოიწონა შემოსული წინადადებების, შენიშვნებისა და გამართული განხილვის გათვალისწინებით დაზუსტებული სკკპ პლატფორმის პროექტი „პარტიის ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე პირობებში“ (გამოქვეყნდება) და მიიღო ამ საკითხზე დადგენილება, რომელიც პრესაში იბეჭდება.

პლენუმმა მოისმინა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ა. ი. სუხარევის ინფორმაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ე. კ. ლიგაჩოვის განცხადების განხილვის შედეგების შესახებ, რომლითაც მან მიმართა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის პროკურატურას იმის გამო, რომ გამომძიებლებმა ტ. ხ. გდლიანმა და ნ. ვ. ივანოვმა მას ბრალად დასდეს მექრთამეობა. სსრ კავშირის პროკურატურის მიერ მოწყობილმა გამოძიებამ ცხადყო ამ მტკიცებათა სრული უსაფუძვლობა.

პლენუმზე გამოვიდნენ ე. კ. ლიგაჩოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი ვ. ი. სმირნოვი. პლენუმმა ამ საკითხზე მიიღო დადგენილება (გამოსვლები და დადგენილება პრესაში გამოქვეყნდება).

პლენუმმა ვ. პ. ნიკონოვი და ვ. მ. ჩებრიკოვი გაათავისუფლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობისა და მდივნობის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლის შესახებ მათ განცხადებათა გამო.

პლენუმმა გაათავისუფლა ვ. ვ. შჩერბიცკი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლის შესახებ მისი განცხადების გამო.

პლენუმმა გაათავისუფლა ი. ფ. სოლოვიოვი და ნ. ვ. ტალიზინი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთა მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლის გამო.

ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა გულთბილი მადლობა უძღვნა ამხანაგებს ვ. პ. ნიკონოვს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ვ. მ. ჩებრიკოვს, ი. ფ. სოლოვიოვს, ნ. ვ. ტალიზინს პარტიულ ორგანოებში მრავალი წლის აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის.

პლენუმმა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ა. კრიუჩკოვი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად.

პლენუმმა ი. დ. მასლიუკოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობიდან გადაიყვანა პოლიტბიუროს წევრად.

პლენუმმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ე. მ. პრიმაკოვი და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ბ. კ. პუგო აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებად.

პლენუმმა აირჩია სკკპ ორიოლის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ე. ს. სტროევი, სკკპ ლიპეცკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ა. მანაენკოვი და სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ი. უსმანოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებად.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობიდან წევრად გადაიყვანა უკრაინის კომპარტიის ყირიმის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ნ. გირენკო და აირჩია იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

დასასრულ პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

# ორმოცდამეჩვიდმეტე

23 სექტემბერს კაუნასში, ალმა-ათაში, მოსკოვში, დონეცკსა და ტალინში აღიმართება უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 57-ე ჩემპიონატის ალამი. ამ ცოტა ხნის წინ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა თბილისის „დინამოს“ კოლექტივის უფროს მწვრთნელს ლევან მოსეშვილს ჩემპიონატისთვის სამზადისის თაობაზე, ამიტომ ამ საკითხს ხელახლა აღარ დავუბრუნდებით. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ახალი სეზონი გუნდისთვის რთული იქნება — შემადგენლობა დატოვა სამმა კალათბურთელმა (ბოროდაჩოვმა, ტიუბინმა და კაპუსტინმა), ძმებმა ვაშაკიძეებმა დისკვალიფიკაცია მიიღეს, შენგელია კი ახალგაზრდების მსოფლიო ჩემპიონატიდან ტრავმირებული დაბრუნდა და წვრთნას მოგვიანებით შეუდგა.

ახალი სეზონის დაწყების წინ საქდესის კორესპონდენტს ესაუბრა საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვლადას გარასტასი. აქ იყო ლაპარაკი ქვეყნის საკალათბურთო პრობლემებზე, მიმდინარე ჩემპიონატის სტრუქტურაზე, ნაკრები გუნდისა და კლუბების პერსპექტივებზე. გთავაზობთ ამ საუბრის ტექსტს შემოკლებით და მცირედი შენიშვნებით.



**● რას მოელით თქვენ, როგორც ნაკრების უფროსი მწვრთნელი ახალი სეზონისაგან. შეიძლება თუ არა დღეს ჩემპიონატის ფავორიტებზე საუბარი?**

— ჩემი და ალბათ ყველა მწვრთნელის უპირველესი სურვილია, რომ ჩემპიონატმა რაც შეიძლება მეტი ტალანტი, ნიჭიერი კალათბურთელი წარმოაჩინოს. დღეს ჩვენი კალათბურთისთვის სწორედ ეს გახლავთ მთავარი.

**მწვრთნელი, რომ ამ სიტყვებს ამბობდა, რა თქმა უნდა, მხედველობაში ჰყავდა კალათბურთელები, რომლებიც საზღვარგარეთის კლუბებში გაემგზავრნენ სათამაშოდ. მართლაც საბჭოთა კალათბურთი საბონისის, ველიჩენკის, კურტინაიტისის, მარჩიულიონისის, ვოლკოვის, ხომიჩიუსისა და იოვაიშას გარეშე შესამჩნევად გაღარიბდება. არადა, ამ რანგის „ვარსკვლავებს“ ახე სწრაფად და იოლად შეცვლას ვერ მოუძებნი. დიდი დანაკლისი განიცადა საბჭოთა კალათბურთმა ვალერი გობოროვის ტრაგიკული დაღუპვითაც.**

იხ. მე-3 გვ.

# შეხვედრა გუნდთან

**გუშინ** თბილისის „დინამოს“ ოსტატ კალათბურთელთა დიღმის საწვრთნელ ბაზაზე საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელები ჩემპიონატის დაწყების წინ შეხვდნენ დინამოელთა კოლექტივს. ინფორმაცია გუნდის მზადების შესახებ გააკეთა მთავარმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა.

წელს მთელი გულისყური გამახვილებული იქნება ახალგაზრდა კალათბურთელებზე, რომლებიც შეცვლიან ვეტერანებს. გამოცხადდა, რომ კოლექტივი დატოვეს მოწვეულმა კალათბურთელებმა — კაპუსტინმა, ტიუბინმა, რიჟოვმა და ბოროდაჩოვმა. თავად გუნდის წევრები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, რაც გამოხატეს კიდეც თავიანთ გამოსვლებში გუნდის კაპიტანმა გელა დარსაძემ, მოთამაშეებმა მაქსიმ კროპაჩოვმა, ალექსანდრე ფერიაშვილმა და ირაკლი ვაშაკიძემ. ამ უკანასკნელმა მოინანია ახალგაზრდულ თამაშებზე გამოვლენილი არასპორტული საქციელი და ითხოვა პატიება. კოლექტივი მხარში ამოუდგა თანაგუნდელს, თავის თავზე აიღო მთელი პასუხისმგებლობა, სთხოვა ხელმძღვანელობას, რომ ვაშაკიძეს მიეცეს თამაშის შესაძლებლობა, რათა გამოისყიდოს დანაშაული.

შეხვედრისას გზა დაულოცეს გუნდს და უსურვეს წარმატებები.

გუშინვე კაუნასში ჩვენი კალათბურთელების გამგზავრების წინ თავი იჩინა პირველმა მოულოდნელობამ — ავად გახდა ლევან მოსეშვილი, რომელიც გუნდს ვერ გაჰყვა. როგორც ექიმმა ზ. თელიამ განაცხადა, გუნდს მთავარი მწვრთნელის გარეშე სულ მცირე ოთხი თამაშის ჩატარება მოუწევს.



# ფოთის სპორტული პროფილი

## ენთუზიასტი ადამიანების ფონზე

**თუ** ამ ქვეყანაზე ვინმემ იცის სიკეთის ფასი, ეს ალბათ, პირველ ყოვლისა, ქართველებზე ითქმის, ვფიქრობთ, არ ვაჭარბებთ.

ქართველი კაცის ბუნების საწყისია სიკეთე. იგი პირადულს არასდროს დაუპირისპირებს საერთო სახალხოს და თუ არჩევანზე მიდგება საქმე, კარგად ვიცით საით გადაიხრება უყოყმანოდ. სხვაგვარად ვერ გადარჩებოდა საქართველო, აღარც ქართველი იქნებოდა ქართველი.

დალხინებული ცხოვრება იშვიათად გვქონია, მაგრამ მაშინაც კი, როცა გარეშე ძალები ყოველმხრივ ბორკავდა ადამიანის პირად თაოსნობას, მით უმეტეს, პატრიოტულს, ქართველი კაცი მაინც თავის გზით, სიკეთის გზით მიდიოდა. ვამბობთ ამ სიტყვებს და... რაღა შორს წავიდეთ, გვახსენდება, როგორ გაჰყავდა მეტრო თბილისში, როგორ აიგო სპორტის სასახლე, როგორ დაიწყო თბილისის „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქცია, როგორ გაჩნდა „სამთოქიმიის“ მიერ გაშენებული შესანიშნავი სპორტული ობიექტები რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში, როგორ შენდებოდა სპორტული ბაზები ქუთაისში, ტყიბულში, ფოთში, ვანში... ყველას ვერ ჩამოთვლი, ფაქტი უამრავია.

დღეს მხოლოდ ფოთზე და ამ ქალაქის ენთუზიასტებზე შევჩერდებით.

ზემოხსენებულ რეგიონებში და სხვაგანაც, ბაზები შენდებოდა მაშინაც კი, როცა სპორტული ობიექტების დაფინანსება მკაცრად იკრძალებოდა. ფოთში, წამოწყებულმა ეკონომიკურმა ექსპერიმენტმა ხელფეხი გაუხსნა კეთილი საქმის თაოსნებს. სტერეოტიპიდან თავის დაღწევა თავად მოისურვეს ფოთელებმა, თორემ რამდენი ექსპერიმენტი არ განხორციელებულა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კონკრეტული ხელმძღვანელები ვერ შელევიან უშფოთველობას და უხიფათო ჩარჩოებში მოქცეულ ცხოვრების წესებს. არა, ულაზედი გადატრიალება არც ფოთში მომხდარა. სიფრთხილეს და ზომიერებას არც აქ კარგავდნენ ადამიანები, მაგრამ თვით ატმოსფერო შეიქმნა ისეთი, რომ ახლა უფრო მეტის გაკეთება შეიძლებოდა, ვიდრე ადრე. ამ ატმოსფეროს კი თავად ქმნიდნენ ქალაქის ხელმძღვანელები.

### ნაჭაობარზე აღმოცენებული „პატარა საოცრება“

ერთმა ჩვენმა კოლეგამ, რომელიც კარგად იცნობს როგორც ფოთს, ისე წყალსათხილამურო სპორტს, ამ ქალაქში გამგზავრების წინ გაგვაფრთხილა — „აია“ — ეს „პატარა საოცრება“ აუცილებლად ნახეთო. ვნახეთ. დაწვრილებითაც გვიამბეს, როგორ იქცა ეს დაჭაობებული ადგილი საქართველოში წყალსათხილამურო სპორტის ცენტრად.

მოკლედ: თავიდან ეს მიგდებული ადგილი მოუზვინიათ, პატარა ქოხი ჩაუდგამთ, არხი გაუწმენდიათ და დამდგარ წყალზე პირველი კვალიც გაუვლიათ ადგილობრივ წყალმოთხილამურეებს, მათ შორის პატარა ხათუნა კორკელიას.

ფოთელ ენთუზიასტებთან საუბრისას ერთი ტენდენცია გამოიკვეთა: მთავარია კეთილი საქმე დაიწყონ, დაიწყონ თუნდაც სულ უბრალო ჩანაფიქრით, მერე ნაბიჯნაბიჯ მიყვნენ ამ საქმეს და... სა

იხ. მე-2 გვ.



ფოთის საიალქნო კლუბი; სპორტკომპლექს „აიას“ „ცისფერ სტადიონზე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფოთის სპორტული პროფილი

დასასრული

ბოლოოდ ქალაქში მრავლდება ახალი სპორტული ბაზები, კომპლექსური იქნება ეს, არაკომპლექსური თუ მარტივი. რჩეულთა შორის პირველი მაინც „აია" იყო.

დღეს? დღეს „აიას" ტერიტორიაზე უკვე მუშაობს შესანიშნავი სპორტული დარბაზი, მალე გაიხსნება საცურაო აუზი, მზადდება ტრიბუნები, გაშენდება სასტუმრო, კოტეჯები, კვების ბლოკი, ბაზას დამხმარე ნაგებობები მიემატება, ახალი ხიდი გაიდება არხზე, რაც „აიას" დააკავშირებს სამსარ-



ახე გამოიყურება ფინური საწყობის ჭერქვეშ დამონტაჟებული სპორტული დარბაზი და საცურაო აუზი.



თულიან პლაჟთან... ხვალ რა იქნება? ფოთელმა ენთუზიასტებმა ასე ნება-ნება და შეუპოვრად იმდენი იღონეს, იმდენი რამ გააკეთეს, რომ სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი „აია" ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრი იქნება ევროპაში.

ოფიციალური ცნობა: 1991 წელს ფოთში „აიას" კომპლექსზე ჩატარდება ევროპის ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში.

საბჭოთა კავშირში ჯერ არ გამართულა ამ სახეობაში ასეთი რანგის შეჯიბრება. ეს პატივი ფოთელებს ხვდათ წილად. დიდი და ჭეშმარიტად საამაყო პატივია!

## ენთუზიასტების მისამართები

„აიას" ტერიტორიას უნარიანი და ამავე დროს შეძლებული მეურნის ხელი სჭირდებოდა. ფოთში საბედნიეროდ ასეთი ადამიანები სანთლით საძებარნი არ არიან. იმათ შორის, ვინც „პატარა საოცრებას" ჩაუყარა საფუძველი, უპირველესად უნდა გამოვყოთ ორნი: რომან მელია — ფოთის ჩაის კომბინატის დირექტორი და გურამ დოლბაია — საოკეანო თევზჭერის სამმართველოს ყოფილი უფროსი.

რომან მელია თავის ქალაქზე, ხალხზე და სპორტზე უზომოდ შეყვარებული კაცია. ამ სიყვარულმა გადაადგმევინა თამამი ნაბიჯები. აშენებს ისეთ სპორტულ ბაზებს, რომელიც საუკეთესო უნდა იყოს არა მარტო საქართველოსა და სსრ კავშირში, არამედ ევროპაში. ამ მოთხოვნაში მომსახურების მაღალი დონეც იგულისხმება. შედარებისთვის ვიტყვით, რომ მისი საწარმოს მუშათა სასადილო როგორც მომსახურებით, ისე დიზაინით არ ჩამოუვარდება მაღალი კლასის რესტორნებსაც კი.

ცხოვრებამ გვიჩვენა: ყოველი კეთილი საქმე, რომლის ხორცშესხმა საჭიროა, მაგრამ მისასვლელი გზებია ჩახერგილი, რისკის გარეშე რეალობად ვერ იქცევა. ადრე თუ გვიან, ცხადია, გზა მაინც გაიხსნება, მაგრამ... თვალსაც ველარ მიაწვდენ წინ წასულთ. მაგალითი? რამდენიც გნებავთ იმდენი შეიძლება გავიხსენოთ თუნდაც სულ ახლო წარსულიდან.

რომან მელიამ ფინეთიდან თანამედროვე კონსტრუქციის ასაწყობი საწყობები გამოიწერა. ეს საწყობები „აიას" სპორტულ-გამაჯანსაღებელ ზონაში გადაიტანა და სპეციალისტებს, ისე, რომ ნაგებობის გარეგანი ფორმა არ შეცვლილა, ერთი სპორტულ დარბაზად გადააკეთებინა, მეორე — საცურაო აუზად.

საგანგებო პროექტით აშენდება სასტუმრო.

„ევროპის ჩემპიონატი ჩვენი სასინჯი ქვა იქნება. ყველაფერი ისე უნდა გავაკეთოთ, რომ წყალსათხილამურო სპორტში ფოთი დიდი საერთაშორისო შეჯიბრებების ყველაზე აღიარებულ ცენტრად იქცეს არა მხოლოდ ევროპაში". ეს სიტყვები რ. მელიას ეკუთვნის. მას ახლა, როგორც იტყვიან, წინადადებების მთელი პაკეტი აქვს იმის თაობაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს ფოთში წყალსათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატისათვის სანიმუშოდ მოსამზადებლად და ჩასატარებლად. მაგრამ მთავარი არც სურვილია, არც წინადადებები. დღეს რ. მელია თავად დადის ინსტანციიდან ინსტანციებში, რომ ამ დიდს და საპატიო საქმეში მხარდამჭერებთან და მომხრეებთან გააერთიანოს ფოთელთა შესაძლებლობები.

გურამ დოლბაიამ, ვიდრე სამუშაოდ სხვაგან გადავიდოდა, ბევრი რამ შესძინა „აიას" და საერთოდ ქალაქს. ახლა კი ეს ორგანიზაცია „აიას" ტრიბუნების დამონტაჟებას აგრძელებს.

საზღვაო ქალაქში წამყვანი კოლექტივები, ცხადია, საზღვაო ორგანიზაციებია. მაგრამ მათ შორისაც არიან გამორჩეულნი, მაგალითად, საზღვაო ნავსადგური. მისი უფროსის ვალერი გეგიძის სახელი კარგადაა ცნობილი სპორტის მოყვარულებში — ყოფილი სპორტსმენია, ამჟამად ნიჩბოსნობის საქალაქო ფედერაციის თავმჯდომარე. შესაძლებლობებს, მათ შორის ფინანსურს, თუ ვინმე არ იშურებს სპორტის სასიკეთოდ, მათ შორის ეს ხელმძღვანელიცაა. შესანიშნავ საიალქნო კლუბზე და ძვირადღირებული კატერების შეძენაზე არაფერს ვამბობთ, ქალაქში ამ ორგანიზაციის ბალანსზეა კრივის დარბაზი, სანიჩბოსნო ბაზა, სტადიონი...

ბოლო ხანებში ფოთში ყველა ბაზამ შეიცვალა იერსახე — თანამედროვე მოთხოვნებს გაუთანაბრდა ან უთანაბრდება. ეს პრინციპული საკითხია — ამბობენ ენთუზიასტები.

ფოთის მილიციის უფროსს ზეინ ტაბიძეს ჩვენ ვერ შევხვდით. ამ კაცს არც სხვა დროს შევხვედრივართ, მაგრამ სპორტისადმი მისი ფანატიკური სიყვარული და უანგარო სამსახური ლეგენდად დადის მთელს ქალაქში. მხოლოდ ორ ფაქტს



რომან მელია.

შევეხებით. მილიციის შენობის გვერდით ზ. ტაბიძემ შესანიშნავი სპორტული კომპლექსი მოაწყო, საქმის გაძღოლა კი მაიორ ქვანიას დაავალა. აქ სისტემატურად ვარჯიშობენ ძნელადაღსაზრდელი მოზარდები. ფეხბურთელები, მაგალით-ად, ქალაქის ქუჩების პირველობაშიც კი მონაწილეობენ. ისინი როსტოვშიც შეხვდნენ თანატოლებს. მეორე — ფოთში ცხენოსნობის ეროვნულ და საერთაშორისო სახეობებს მდიდარი ტრადიციები გააჩნდა, რომლის აღორძინება ბოლო წლებში დაიწყო, ამ საქმეში კი ქალაქში სხვებთან ერთად დიდ მუშაობას ეწევა ცხენოსნობის საქალაქო ფედერაცია, რომელსაც ზ. ტაბიძე უდგას სათავეში. მისი დამსახურებაა ისიც, რომ რესპუბლიკის ნაკრები ცხენოსნობაში ბოლო ხანებში მხოლოდ ამ ქალაქში ემზადება, რადგან საამისოდ ყველაზე უკეთესი პირობები რესპუბლიკაში სწორედ ფოთს გააჩნია.

უცნაური ამბავი გვიამბო ფოთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ო. ხომერიკმა. ადგილობრივი გაზეთის რედაქცია თურმე ქალაქის ცენტრში მდებარე ძველი შენობიდან სხვაგან გადავიდა. ეს შენობა უნდა აელოთ. ო. ხომერიკი და კომიტეტის პარტორგანიზაციის მდივანი ვ. კუპრეიშვილი ღამეებს ათევდნენ მის ჭერქვეშ, ნაგებობა რომ არ დაენგრიათ. გავარემონტებთ და საჭადრაკო კლუბს გავხსნითო, — ამტკიცებდნენ. ორგანიზაციაც გამოჩნდა, რომელიც შენობას შეაკეთებდა — № 2 სამშენებლო ტრესტი. ახლა ამ შენობაში საჭადრაკო კლუბი „ნანაა" გახსნილი — ნანა ალექსანდრიას საპატივცემულოდ.

ასევე უცნაურად დაიწყო ფოთში პირველი საცურაო აუზის აგების ოცნების ხორცშესხმა. ცურვის ენთუზიასტმა გურამ თურმანიძემ და სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ჩანაფიქრის რეალიზაცია ე. წ. პარტიზანული მეთოდით დაიწყეს. არც პროექტი იყო, არც სახსრები, წილობრივად ვინ რამდენი შეძლო, იმდენი გაიღო, რითაც შეძლო, იმით შეეწია ენთუზიასტებს. ქალაქის ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა თაოსნებს. ეს უკვე ბევრს ნიშნავდა — მრავალი პრობლემა დროულად გადაიჭრა. ფოთელებმა მალე იზეიმეს კიდევ ერთი კეთილი საქმის გამარჯვება — საცურაო აუზს ის უწოდეს, რაც ხალხს გულში ფიქრად ჰქონდა — „ოცნება".

ვნახეთ ასევე ახალი სანიჩბოსნო ბაზა, რომელიც სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების წინ სულ რაღაც სამ თვეში აშენა რესპუბლიკის სპორტსახკომმა. 100 ადგილზე სასტუმროთი გაშენდა „დინამოს" სანიჩბოსნო ბაზა, რომელსაც ყველა პირობა გააჩნია სპორტსმენთა როგორც სპეციალური, ისე საერთო ფიზიკური მომზადებისთვის. წელს მთლიანად დამთავრდება ამ ბაზის კეთილმოწყობა.

ახლა ქალაქის ცენტრში მშენებლობის პროცესშია საჩოგბურთო კომპლექსი, რომელსაც ექნება 8 კორტი.

სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, სტიმული მისცა სპორტის ცალკეული სახეობების წინსვლას. მაგრამ საკუთარი თავისადმი მომთხოვნი ფოთელები არ გვიწყენენ თუ ვიტყვით, რომ შესაძლებლობები უფრო ენერგიულად და უნარიანად უნდა გამოიყენონ. სპორტული ბაზების ქსელის გაფართოების ტემპს სპორტსმენთა მომზადების ტემპი არ უნდა ჩამორჩეს. ფოთისაგან მეტს მოელის ქართული სპორტი.

ბოლო ხანებში არც მასობრივი სპორტი და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ქსელის გაფართოება-განმტკიცება რჩება ყურადღების გარეშე. დიდი ხანი არაა, რაც ქალაქში 18 კომპლექსური მოედანი გაიხსნა საცხოვრებელ ადგილებში. ახლა, ფაქტობრივად, თითქმის ყველა საცხოვრებელი კორპუსის თანამგზავ-



სპორტკლუბი „აია".

რია სპორტული მოედანი. რაც მთავარია, მოედნები სილამაზისთვის არ გაუშენებიათ, თავისთავად მეცადინეობს ხალხი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ეს საკუთარი თვალით ვიხილეთ მოედნების დათვალიერებისას. ვნახეთ ისეთი მოედანიც, რომლის სიახლოვეს საცხოვრებელი კორპუსი არ არის. — აქ კორპუსი ახლო მომავალში აშენდება, მოედანი კი წინდაწინ მოვაწყვეთ, ტერიტორია დავიბევეთ, კონკურენტებს დავასწარითო, — გვეუბნება ო. ხომერიკი.

ფოთის სპორტული პროფილი ყოველდღიურად სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება. ასევე მკაფიოდ იკვეთება ქალაქის ხელმძღვანელობის, სპორტული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მსხვილი საწარმოების პოზიტიური დამოკიდებულება ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის პრობლემებისადმი. საბოლოო ჯამში ხომ საქმე ერის ფიზიკურ გაჯანსაღებას, ქართული სპორტის ინტერესებს ეხება. პირდაპირ უნდა ითქვას: ფოთელთა ენთუზიაზმმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამასთან, დაგვარწმუნა, რომ მცდარია აზრი, თითქოს ქართველი კაცი მხოლოდ საქმის დაწყებაშია ძლიერი და მობილიზებული — ფოთელები უფრო ერთსულოვანნი და დარაზმულნი სწორედ საქმის დაგვირგვინებაში არიან.

• • •

ამ დღეებში ფოთს ეწვია საქართველოს სპორტსახკომის სპეციალური ჯგუფი თავმჯდომარის მოადგილის ვ. ლომაძის ხელმძღვანელობით. ჯგუფში შედიოდნენ როგორც წყალსათხილამურო სპორტის, ისე დაპროექტების და მშენებლობის სპეციალისტები. თბილისიდან ჩასულ სპეციალისტებს ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან ერთად უნდა გაერკვიათ წყალსათხილამურო სპორტში 1991 წლის ევროპის ჩემპიონატისათვის მზადებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. შედგა ამ საკითხთა საგანგებო ნუსხა, რომლის რეალიზაცია დაუყოვნებლივ დაიწყება.

**თენგიზ თოფაძე,**
„ლელოს" სპეც. კორ.

ფოთი.

ავტორის ფოტოები.





ბევრი რამაა დასაზუსტებელი როგორც მშენებლებთან (სურათზე მარჯვნივ), ისე სპეციალისტებთან (მარცხენა სურათზე მარჯვნივ მეორეა მსოფლიოს ექსჩემპიონი ნატალია რუმიანცევა).



„აიას" ახალი სასტუმროს „მაკეტი".







მარცხნიდან — საცურაო აუზი „ოცნება"; „აიას" ტრიბუნების მშენებლობა და ადმინისტრაციული კორპუსი.

# ორმოცდამეჩვიდმეტე სტარტი

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრული

**ერთი სიტყვით, ნაკრების უფროს მწვრთნელს და კლუბების დამრიგებლებს მიმდინარე სეზონში ბევრი თავსატეხი ექნებათ. რაც შეეხება ფავორიტებს, გარახტახმა პირველ რიგში დაასახელა კიევის „ბუდიველნიკი", ცსკა, ალმა-ათის არმიელთა და მოსკოვის დინამოელთა კოლექტივები. არაფერი თქვა მან თავის ყოფილ კლუბზე „ჟალგირისზე", რომელმაც ყველაზე ბევრი კალათბურთელი „დაკარგა".**

**● წლევანდელი ჩემპიონატის სისტემა ფაქტიურად არაფრით განსხვავდება შარშანდელისგან. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ საბოლოოდ მივაგენით ოპტიმალურ ფორმულას?**

— ვფიქრობ, რომ ჩვენ ჩემპიონატის ჩატარების საუკეთესო ვარიანტი ვერ ავირჩიეთ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ წლევანდელ ფორმულას კლუბების მწვრთნელთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა. იყო ოთხი ვარიანტი, მაგრამ უმაღლესი ლიგის თორმეტი მწვრთნელიდან ცხრამ ხმა სწორედ ამ ფორმულას მისცა, მე ახლანდელი სისტემის მოწინააღმდეგე ვარ, უკეთესი იქნებოდა ალბათ, რომ ავერჩია შერეული სისტემა (ორი წრე მიმოსვლით, ორი წრე ტურებად). ამ პრინციპით ტარდება ყველა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, მათ შორის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები, ოლიმპიური ტურნირი.

**გარახტახი აქ, აშკარად, ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოზიციიდან გამოდის, რომლისთვისაც უფრო ხელსაყრელია ტურების სისტემა. მართლაც, ნაკრების მწვრთნელს კომპაქტურ შეჯიბრებებში უფრო უკეთ შეუძლია გუნდის წევრთა მზადყოფნის შემოწმება და კანდიდატთა შერჩევა.**

**● როგორი ამოცანების წინაშე დგას ნაკრები?**

— ნაკრები ამჟამად სანახევროდ განახლებული გუნდია, რომელიც ეძებს თავის სახეს. სექტემბრის პირველ რიცხვებში მონაწილეობა მივიღეთ ესპანეთში გამართულ რამდენიმე მცირე ტურნირში. პრესა ჩვენს განახლებულ გუნდს თავდაპირველად უნდობლად შეხვდა, მაგრამ თამაშის პროცესში მათი დამოკიდებულება აშკარად შეიცვალა. სულ ესპანეთში 10 მატჩი გავმართეთ. მათგან ცხრა მოვიგეთ, თანაც დავამარცხეთ რამდენიმე სერიოზული და ავტორიტეტული კლუბი, ისეთები, როგორიც არიან: ესპანეთის „ფორუმი" (სწორედ ამ კლუბის ღირსებას იცავენ საბონისი და ხომიჩუსი), ტელ-ავივის „მაკაბი", საფრანგეთის „ლიმოჟი", ამერიკის „ოლდ სტარსი", რომლის ღირსებას ნბა-ს პროფესიული ლიგის ოთხი ყოფილი კალათბურთელი იცავდა. ესპანეთის ტურნეში თავი გამოიჩინა ჩვენმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ვალერი გობოროვმა. სამწუხაროა, რომ მისი ცხოვრება ასე უეცრად და ტრაგიკულად შეწყდა. იგი უსათუოდ ექსტრაკლასის კალათბურთელი დადგებოდა. ნაკრებს დღეს ფაქტიურად არა ჰყავს ცენტრალური თავდამსხმელები. ეს ჩვენი პრობლემათა პრობლემაა.

**ნაკრების მწვრთნელი ამ შემთხვევაშიც მართალია. არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატისთვის (1990 წელი) და ბარსელონის ოლიმპიადისთვის (1992 წელი) პირველ რიგში ცენტრალური თავდამსხმელების საკითხი უნდა გადაწყდეს. მით უმეტეს, რომ ამერიკელები ოლიმპიურ ნაკრებში ნბა-ს პროფესიული ლიგის საუკეთესო მოთამაშეთა ჩარიცხვას აპირებენ.**

## გათამაშების დებულებიდან

**უმაღლესი** ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 57-ე ჩემპიონატში, ტრადიციულად, 12 გუნდი იასპარეზებს. ესენია: „ბუდიველნიკი" (კიევი), „ჟალგირისი" (კაუნასი), ცსკა, ასკ (ალმა-ათა), „დინამო" (მოსკოვი), „კალევი" (ტალინი), „სტატიბა" (ვილნიუსი), „დინამო" (თბილისი), რტი (მინსკი), „შახტიორი" (დონეცკი), ვეფ (რიგა) და „სპარტაკი" (ლენინგრადი).

ჩემპიონატი, ისევე როგორც შარშან, ორ ეტაპად ტარდება, პირველ ეტაპზე ტურნირში მონაწილე თორმეტივე გუნდი 4-4 შეხვედრას ჩაატარებს ერთმანეთთან მიმოსვლის სისტემით (2-2 მატჩი შინ და 2-2 მატჩი მეტოქის მოედანზე).

გუნდები, რომლებიც პირველი ეტაპის შემდეგ პირველ და მეორე ადგილებს დაიკავებენ, გაითამაშებენ ოქროს მედლებს სერიებში (სამ მოგებამდე). ანალოგიური პრინციპით მოხდება ბრინჯაოს მედლების გათამაშებაც პირველ ეტაპზე მესამე და მეოთხე ადგილებზე გასულ გუნდებს შორის. თუ საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლ გუნდებს შორის პირველი ეტაპის შემდეგ სხვაობა 3 ქულაზე მეტი იქნება, სუპერფინალური სერიები აღარ ჩატარდება. ფინალური სერიის პირველი შეხვედრა გაიმართება იმ გუნდის მოედანზე, რომელსაც სატურნირო ცხრილში უარესი ადგილი უკავია. მეორე და საჭიროების შემთხვევაში მესამე შეხვედრა გაიმართება იმ გუნდის მოედანზე, რომელსაც სატურნირო ცხრილში უკეთესი ადგილი ექნება.

გუნდები, რომლებიც პირველი ეტაპის შემდეგ X და XI ადგილებზე გავლენ, გადასასვლელ მატჩებს ითამაშებენ (სამ მოგებამდე) პირველ ლიგაში მეორე და მესამე ადგილებზე გასულ გუნდებთან. გუნდი, რომელიც უმაღლეს ლიგაში XII ადგილს დაიკავებს, ავტომატურად სტოვებს მას და თავის ადგილს პირველ ლიგაში გამარჯვებულ გუნდს უთმობს.

## რესპუბლიკებსა და ქალაქებს შორის

**ომამდე** საკავშირო ჩემპიონატებში კლუბების გარდა რესპუბლიკებისა და ქალაქების ნაკრები გუნდებიც მონაწილეობდნენ. ცხრილში, რომელსაც აქვე გთავაზობთ, ერთადაა თავმოყრილი კლუბების, რესპუბლიკებისა და ქალაქების გუნდების მაჩვენებლები და ისეა ადგილები განაწილებული. საქართველოს გრაფაში, მაგალითად, შეტანილია თბილისის „დინამოს", ოფიცერთა სახლისა და „ლოკომოტივის", აგრეთვე რესპუბლიკისა და ქალაქის ნაკრები გუნდების შედეგები. ამავე პრინციპითაა განსაზღვრული სხვა რესპუბლიკების (თუ ქალაქების) მაჩვენებლებიც.

| | I | II | III | სულ. |
|---|---|---|---|---|
| მოსკოვი | 32 | 17 | 16 | 65 |
| ლენინგრადი | 5 | 10 | 6 | 21 |
| უკრაინა | 2 | 9 | 10 | 21 |
| ლიტვა | 5 | 7 | 8 | 20 |
| საქართველო | 6 | 7 | 6 | 19 |
| ლატვია | 4 | 2 | 5 | 11 |
| ესტონეთი | 1 | 2 | 2 | 5 |
| რსფსრ | — | 1 | — | 1 |



## თბილისის „დინამო"

**კალათბურთელთა** 57-ე საკავშირო ჩემპიონატში თბილისის „დინამოს" შემადგენლობა ასეთი იქნება: გელა დარსაძე (დაიბადა 1962 წ. სიმაღლე — 187 სმ), გია სანაძე (1965, 195), დავით უსტიაშვილი (1971, 187), ირაკლი ვაშაკიძე (1969, 196), გოდერძი კორძაძე (1971, 204), დავით დაუშვილი (1970, 204), ამბროსი ორმოცაძე (1970, 197), იგორ კოლიჩევი (1964, 200), მაქსიმ კროპაჩოვი (1964, 205), კახაბერ შენგელია (1972, 206), ალექსანდრე ფერიაშვილი (1967, 202), დავით ტალაბაძე (1967, 198), შალვა ცხვედიანი (1970, 198), დავით თორთლაძე (1970, 180), ირაკლი ბაქრაძე (1971, 195), ამირან სხიერელი (1970, 204), ირაკლი ჯაფარიძე (1973, 202), რევაზ ჩხეიძე (1973, 197), ლევან ბაქრაძე (1973, 193), კახა ბარამიძე (1974, 189), იგორ მურაიტოვი (1974, 202), ვასილ გოგუა (1974, 200), არჩილ მიქიაშვილი (1971, 202), რამაზ გოგობერიშვილი (1973, 190), ზაზა მაჩალაძე (1974, 198), ზურაბ ჩუბინიძე (1973, 197). მთავარი მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ლევან მოსეშვილი, მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ვაჟა მხეიძე და თამაზ ოქრუაშვილი.

საკავშირო ჩემპიონატის სასტარტო მატჩების განაცხადში შეყვანილია შემდეგი თორმეტი კალათბურთელი: დარსაძე, სანაძე, უსტიაშვილი, ვაშაკიძე, კორძაძე, დაუშვილი, კოლიჩევი, კროპაჩოვი, შენგელია, ფერიაშვილი, ცხვედიანი და ი. ბაქრაძე, გუნდის კაპიტანია გელა დარსაძე.

## კალენდარი

**23-24 სექტემბერი.** „ჟალგირისი" (კაუნასი) — „დინამო" (თბილისი), ასკ (ალმა-ათა) — ვეფ (რიგა), „დინამო" (მოსკოვი) — ცსკა, „კალევი" (ტალინი) — „სტატიბა" (ვილნიუსი), „შახტიორი" (დონეცკი) — „ბუდიველნიკი" (კიევი).

**27-28 სექტემბერი.** „კალევი" — „დინამო" (თბილისი), „შახტიორი" — ვეფ-ი.

**28-29 სექტემბერი.** „ჟალგირისი" — რტი (მინსკი).

**29-30 სექტემბერი.** ცსკა — ასკ.

**30 სექტემბერი — 1 ოქტომბერი.** „ბუდიველნიკი" — „სპარტაკი" (ლენინგრადი).

**1—2 ოქტომბერი.** „სტატიბა" — რტი.

**3-4 ოქტომბერი.** ვეფ — „კალევი".

**4-5 ოქტომბერი.** „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი).

**5-6 ოქტომბერი.** „სპარტაკი" — „შახტიორი".

**7-8 ოქტომბერი.** ვეფ — „სტატიბა", რტი — „კალევი".

**8-9 ოქტომბერი.** ცსკა — „ბუდიველნიკი", ასკ — „ჟალგირისი".

**9-10 ოქტომბერი.** „დინამო" (მოსკოვი) — „სპარტაკი".

**11-12 ოქტომბერი.** „სტატიბა" — „შახტიორი".

**12-13 ოქტომბერი.** ასკ — „ბუდიველნიკი", „დინამო" (მოსკოვი) — „ჟალგირისი", „დინამო" (თბილისი) — ცსკა.

**13-14 ოქტომბერი.** „სპარტაკი" — რტი.

**16-17 ოქტომბერი.** „კალევი" — „დინამო" (მოსკოვი), „შახტიორი" — ცსკა.

**17-18 ოქტომბერი.** „სტატიბა" — „ჟალგირისი", ვეფ — „დინამო" (თბილისი), „სპარტაკი" — ასკ.

**18-19 ოქტომბერი.** რტი — „ბუდიველნიკი".

**20-21 ოქტომბერი.** „კალევი" — ასკ, „შახტიორი" — „დინამო" (მოსკოვი).

**21-22 ოქტომბერი.** „ჟალგირისი" — „სპარტაკი", ცსკა — ვეფ-ი.

**22-23 ოქტომბერი.** „ბუდიველნიკი" — „სტატიბა", რტი — „დინამო" (თბილისი).

მომდევნო მატჩების კალენდარი მოგვიანებით გამოქვეყნდება.

## ყველა ადგილი

**თბილისის** „დინამოს" კალათბურთელთა დებიუტი საკავშირო სარბიელზე 1937 წელს შედგა (ამ წელს დაიწყო სწორედ საკლუბო ჩემპიონატი). დინამოელებმა დაამარცხეს ერევნის თანაკლუბელები (25:16), ბაქოს „ნეფტიანიკი" (27:20), მეოთხედფინალში კი თავად დამარცხდნენ ლენინგრადის „კრასნაია ზარიასთან" (31:33) და გამოეთიშნენ ასპარეზობას. „დინამოსათვის" ყველაზე ბარაქიანი 50-იანი წლების პირველი ნახევარი იყო, როცა გუნდმა რამდენჯერმე მოიპოვა ჩემპიონის სახელი.

ქვემოთ გთავაზობთ რესპუბლიკის უძლიერესი გუნდის მიერ დაკავებულ ადგილებს საკავშირო ჩემპიონატებში.

| წელი | ადგილი |
|---|---|
| 1938 | IV |
| 1939 | VI |
| 1940 | V |
| 1944 | VI |
| 1946 | V |
| 1947 | II |
| 1948 | III |
| 1949 | V |
| 1950 | I |
| 1951 | IV |
| 1952 | III |
| 1953 | I |
| 1954 | I |
| 1955 | IV |
| 1957 | V |
| 1958 | V |
| 1960 | II |
| 1961 | II |
| 1962 | IV |
| 1964 | V |
| 1965 | III |
| 1966 | X |
| 1968 | I |
| 1969 | II |
| 1970 | VII |
| 1971 | VII |
| 1972 | IV |
| 1973 | V |
| 1974 | VI |
| 1975 | IV |
| 1976 | VII |
| 1977 | III |
| 1978 | IV |
| 1979 | VII |
| 1980 | VI |
| 1981 | V |
| 1982 | X |
| 1983 | VIII |
| 1984 | IV |
| 1985 | VII |
| 1986 | VII |
| 1987 | IV |
| 1988 | IV |
| 1989 | VIII |

**შენიშვნა:** 1945 წელს თბილისის „დინამო" მეორე ლიგაში ასპარეზობდა. გაიმარჯვა იქ და დაბრუნდა უმაღლეს ლიგაში. 1956, 1959, 1963 და 1967 წლებში საკავშირო ჩემპიონატების ნაცვლად კალათბურთელები საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში ასპარეზობდნენ. ცხადია, კლუბები მაშინ მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრებმა კოლექტივებმა შეცვალეს. ამიტომ ამ წლების ტურნირების შედეგები ცხრილში შეტანილი არ არის.

საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორი თბილისის „დინამო" თორმეტჯერ იყო. დინამოელებს სხვადასხვა წლებში საკავშირო ჩემპიონატებში ასეთი შედეგები აქვთ ნაჩვენები:

| | |
|---|---|
| I ადგილი | 4-ჯერ |
| II " | 4 " |
| III " | 4 " |
| IV " | 10 " |
| V " | 8 " |
| VI " | 4 " |
| VII " | 6 " |
| VIII " | 2 " |
| X " | 2 " |

## ვინ, რამდენჯერ?

**საბჭოთა** კავშირის ჩემპიონის უმაღლეს ტიტულს შარშანდლამდე ათი გუნდი ფლობდა. ესენი იყვნენ: ცსკა, კაუნასის „ჟალგირისი", თბილისის „დინამო", ლენინგრადის „სპარტაკი", მოსკოვის „დინამო", რიგის არმიელთა კოლექტივი, მოსკოვის „ლოკომოტივი", თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი, ტარტუს უსკ და ლენინგრადის „ბურევესტნიკი". ახლა ამ ათეულს კიდევ ერთი ღირსეული წევრი დაემატა. ესაა უკრაინის უძლიერესი კლუბი, რომელსაც კალათბურთის მოყვარულები იცნობდნენ როგორც „სტროიტელს" და რომელმაც შარშანდელი სეზონის მიწურულს სახელი შეიცვალა და „ბუდიველნიკი" გახდა.

ცხრილში, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, მოცემულია არა მარტო ჩემპიონების, არამედ პრიზიორთა ვინაობაც.

| | I | II | III | სულ |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 24 | 11 | 5 | 40 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 5 | 7 | 6 | 18 |
| „ბუდიველნიკი" (კიევი) | 1 | 7 | 6 | 14 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 1 | 7 | 5 | 13 |
| „დინამო" (თბილისი) | 4 | 5 | 3 | 12 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 2 | 1 | 7 | 10 |
| ასკ (რიგა) | 3 | 2 | 1 | 6 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 1 | 1 | 3 | 5 |
| ოფიც. სახლი (თბილისი) | 2 | 1 | — | 3 |
| უსკ (ტარტუ) | 1 | 1 | 1 | 3 |
| „ბურევესტ." (ლენინგრადი) | 2 | — | — | 2 |
| ფისკ (ლენინგრადი) | — | 1 | 1 | 2 |
| „ლოკომოტ." (თბილისი) | — | 1 | 1 | 2 |
| ასკ (კიევი) | — | 1 | 1 | 2 |
| ვეფ (რიგა) | — | — | 2 | 2 |
| „კრ. ზარია" (ლენინგრადი) | — | 1 | — | 1 |
| „სტროიტელი" (მოსკოვი) | — | 1 | — | 1 |
| „კალევი" (ტალინი) | — | — | 1 | 1 |
| „სტატიბა" (ვილნიუსი) | — | — | 1 | 1 |

**როგორც** ცხრილიდან ჩანს, მოსკოვის არმიელთა პოზიციების შერყევა ძნელი, ფაქტიურად უიმედო საქმეა. კაუნასის „ჟალგირისის" ბოლოდროინდელმა წარმატებებმა ეს კოლექტივი ცხრილში მეორე ადგილზე დაამკვიდრა. თბილისის დინამოელებს ბოლო წლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიუღწევიათ. ამ ცხრილში ერთ-ერთი საპატიო ადგილი ჩვენს გუნდს მხოლოდ ძველი დამსახურებისთვის უჭირავს.

## სსრ კავშირის 56-ე ჩემპიონატი ჭადრაკში

# დღეს, ოდესაში...

**უკვე** მერამდენე წელია, რაც საქართველოს წარმომადგენელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში აღარ უთამაშია. ამიტომ ერთობ სასიამოვნოა, რომ ეს „ტრადიცია" ბოლოს და ბოლოს დაირღვა და უმაღლეს ლიგაში გამოვა ახალგაზრდა ნიჭიერი თბილისელი ოსტატი გია გიორგაძე. ამ საგზურის მოსაპოვებლად გიორგაძემ წარმატებით ითამაშა ჯერ საქართველოს ჩემპიონატში, შემდეგ საკავშირო პირველობის შესარჩევ ტურნირში, ბოლოს კი — პირველ ლიგაში. ახლა მას მოელის ძალების მოსინჯვა საბჭოთა კავშირის უძლიერეს მოჭადრაკეებთან ბრძოლაში (უმაღლესი ლიგა), რომელიც დღეს ოდესაში დაიწყება.

საინტერესოა, რომ ოდესაში, საკავშირო 56-ე ჩემპიონატში, 16 მონაწილეს შორის გია ერთადერთია, რომელსაც „მხოლოდ" ოსტატის წოდება აქვს. დანარჩენი მოჭადრაკეებიდან 11 საერთაშორისო დიდოსტატი, 4 კი — საერთაშორისო ოსტატია. ერთი სიტყვით, თბილისელმა უაღრესად მძიმე გამოცდა უნდა ჩააბაროს.

პირველ პრიზს, ცხადია, ძალზე ბევრი პრეტენდენტი ეყოლება. ჩვენის აზრით, საუკეთესო შესაძლებლობები ექნება საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონსა და მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილ პრეტენდენტს ალექსანდრე ბელიავსკის (ლვოვი). იგი გახლავთ არა მარტო უაღრესად ერუდირებული მოჭადრაკე, არამედ სამაგალითო სატურნირო მებრძოლიც. საბჭოთა კავშირის ყოფილ ჩემპიონ ანდრეი სოკოლოვს (მოსკოვი) მსოფლიო პირველობის გათამაშებას წინა ციკლში გასაოცარი წარმატებები ჰქონდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მან ითამაშა პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში (დაამარცხა არტურ იუსუპოვი) და შემდეგ ე. წ. სუპერფინალში ანატოლი კარპოვს შეხვდა. სოკოლოვი აღიარებულ იქნა თანამედროვეობის № 3 მოჭადრაკედ. მართალია, ბოლო ორი წელია მოსკოველ მოჭადრაკეს აღარა აქვს მსგავსი წარმატებები, მაგრამ იგი კვლავ მონაწილეობდა პრეტენდენტთა ბრძოლაში, თამაშობდა „მსოფლიო თასზეც". რაფაელ ვაგანიანი, რომელიც ახლა მოსკოვში ცხოვრობს, უკვე კარგა ხანია მსოფლიო ელიტას მიეკუთვნება. ადრე ისიც იყო მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი, გამოვიდა „მსოფლიო თასის" პირველ გათამაშებაში. ერთგვარი მარცხი, რომელიც ბოლო ხანებში ვაგანიანმა განიცადა, უფრო სუბიექტური ფაქტორებითაა განპირობებული. ერთხანს იური ბალაშოვი (მოსკოვი) თითქოს მოსწყდა სატურნირო პრაქტიკას, რაც იმით აიხსნება, რომ იგი ანატოლი კარპოვს წვრთნიდა. როგორც ბოლო ტურნირებმა გვიჩვენეს, მოსკოველი თანდათან იღდგენს ძალას. ბალაშოვს გასაოცარი საჭადრაკო მეხსიერება აქვს. თავის დროზე მან ალტაცებაში მოიყვანა რობერტ ფიშერი, რომელმაც შეიტყო, რომ ბალაშოვს ზეპირად ახსოვს მისი ყველა(!) პარტია. როცა ამერიკელმა უშუალო გამოცდა მოუწყო მაშინ სრულიად ახალგაზრდა მოსკოველ მოჭადრაკეს, ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი მიიღო. დიდი პრაქტიკული ძალა აქვს სერგეი დოლმატოვს (მოსკოვი). ბოლო ხანებში მან არაერთ საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა, მაისში კი მოსკოვში პირველი ადგილი დაიკავა დიდოსტატთა მსოფლიო ასოციაციის მიერ მოწყობილ დიდ პრესტიჟულ შეჯიბრებაში. „სამი ოდესელი მუშკეტერი" — ვლადიმერ ტუკმაკოვი, კონსტანტინე ლერნერი და ვიაჩესლავ ეინგორნი, ცხადია, „საკუთარ მინდორზე" დიდი ენერგიით იბრძოლებს. ეს განსაკუთრებით ითქმის ტუკმაკოვზე, რომელსაც უკვე 20 წელია სერიოზული წარმატებები აქვს, როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო ასპარეზზე, მონაწილეობდა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირებში. ვლადიმერ მალანიუკი (სევასტოპოლი) კარგი პრაქტიკოსი და ასევე კარგი თეორეტიკოსია. საკუთარი გამოკვლევები აქვს ისეთ დებიუტებში, რომელსაც სხვა წამყვანი დიდოსტატები ჯეროვან ყურადღებას რატომღაც არც კი უთმობენ. სრულიად ახალგაზრდა დიდოსტატებს ბორის გელფანდსა (მინსკი) და ალექსეი დრეევს (მოსკოვის ოლქი) თვალსაჩინო პოტენციური შესაძლებლობები აქვთ. ადრე მათ არაერთგზის გამოიჩინეს თავი ჭაბუკთა მსოფლიო პირველობებზე, ახლა კი უფრო დიდი ასპარეზი ელით.

ოდესაში ოთხი საერთაშორისო ოსტატი გამოდის. ილია სმირინი (მინსკი), ლემბიტ ოლი (ტალინი), კონსტანტინე ასეევი (ლენინგრადი) და სემიონ დვოირისი (ჩელიაბინსკი). პრაქტიკულ ძალას თუ გავითვალისწინებთ, მათი თამაში დიდოსტატებისაგან არაფრით განსხვავდება. სრულიად ახალგაზრდა სმირინს შარშან უკვე ჰქონდა დებიუტი უმაღლეს ლიგაში და თვალ[illegible] რიგ პარტიებში ჩინებული შთაბეჭდილება დასტოვა. ოლს, რომელზეც [illegible] ლა დიდ [illegible], უკვე აქვს [illegible] ფიდეს [illegible] დებას მიიღებს. ასეევი ძირითადად ლენინგრადის შეჯიბრებებში აღწევდა წარმატებას, მაგრამ თავი გამოიჩინა იმ საერთაშორისო ტურნირებშიც, სადაც მონაწილეობის მიღება მოუხდა. იგი მწვრთნელის საქმიანობასაც ეწევა, კარგი თეორეტიკოსიც გახლავთ. დვოირისი ჯერ კიდევ ჭაბუკთა შეჯიბრებებში იყო ცნობილი, სადაც წარმატებით გამოდიოდა თავის ჩელიაბინსკელ კოლეგებთან ევგენი სვეშნიკოვსა და პანჩენკოსთან ერთად. ორივე მათგანმა შემდეგ დიდოსტატობა მოიპოვა. მალე, ვფიქრობთ, ამას დვოირისიც მიაღწევს.

ეს სრულიად მოკლე დახასიათებებიც კი ცხადყოფს, თუ ვისთან ექნება საქმე ოდესაში გია გიორგაძეს (მას ოსტატი ალექსანდრე ბოკუჩავა წვრთნის). ვუსურვოთ ქართველ მოჭადრაკეს წარმატება, თუ გნებავთ, სპორტული „იღბალიც", რომელიც ესოდენ აუცილებელია ყველა შეჯიბრებაში.

**გივი გამრეკელი.**

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

**თბილისში** ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების სათადარიგო ფეხბურთელთა გათამაშების პირველი წრის გამოტოვებული მატჩი თბილისის „დინამოსა" და ერევნის „არარატის" გუნდებს შორის. შეხვედრა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 3:0.

ბურთები გაიტანეს: ყიზილაშვილმა — 2 და კერძევაძემ.

თბილისელთა შემადგენლობა: ჭანტურია (ჯანელიძე), ფოფხაძე, გელაძე, მაჭავარიანი, არზიანი, რევიშვილი (ჯამარაული), თედეევი (ლ. ყიფიანი), კერძევაძე, ყიზილაშვილი (ხურცილავა), დარასელია, ნეფარიძე (კვინტრაძე).

**გუშინ**, 22 სექტემბერს გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი XXVI ტურის შეხვედრები:

„დნეპრი" — „ჩერნომორეცი" 3:1
„დინამო" (კ.) — „ქალგირისი" 2:1
„როტორი" — „ტორპედო" 2:2
„სპარტაკი" — „შახტიორი" 2:0

• • •

**დღეს, 23 სექტემბერს გ. დიმიტროვის სახელობის ქარხნის სტადიონზე გაიმართება დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის მატჩი თბილისის „დინამოსა" და ერევნის „არარატის" გუნდებს შორის.**

**მატჩი 12 საათზე დაიწყება.**

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 25-ე და 26-ე ტურის შეხვედრები.

**„დინამო" (გაგრა) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 3:1. მსაჯი მ. მაღლაფერიძე (ქუთაისი).** გოლები: სიჭინავა, ჯიშკარიანი, მანაგაძე („დინამო"), კიურჯიევი (პოლ. ინსტ.).

მსაჯის გადაწყვეტილების უარყოფისთვის გააფრთხილეს გ. ვიბლიანი (პოლ. ინსტ.), ხოლო უხეში თამაშისთვის—დინამოელი გ. ჭოხონელიძე.

**„სქური" (წალენჯიხა) — „მზიური" (გალი) 1:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).** გოლი: კვარაცხელია („სქური").

**„მადაროელი" (ჭიათურა) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 2:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: გველესიანი-2 („მადაროელი").

**„ივერია" (ხაშური) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 2:1. მსაჯი ჯ. ვერულაშვილი (თბილისი).** გოლები: მაზმიშვილი, ნოზაძე („ივერია"), შარაბიძე („მეტალურგი").

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ი. მესხი („მეტალურგი").

**„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „არმაზი" (მცხეთა) 3:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).** გოლები: სიჭინავა, ფაცია, კიკნაძე („სამეგრელო").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ი. შენგელია („სამეგრელო").

**„საპოვნელა" (თერჯოლა) — „არაგვი" (დუშეთი) 4:1. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი).** გოლები: გეწაძე, ტუკვაძე, ლილუაშვილი, ფანჩულიძე („საპოვნელა"), წოსრიაშვილი („არაგვი").

## I ლიგა

**I ლიგის** ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის მორიგ კალენდარულ მატჩში ქუთაისის „ტორპედო" იაროსლავლის „შინიკს" მასპინძლობდა.

ქუთაისელებმა ალმაცლობით ჩაატარეს ეს შეხვედრა, გაიმარჯვეს — 3:2 და საგრძნობლად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა. ბურთები ამ მატჩში მასპინძელთაგან გაიტანეს: ფანცულაიამ, პაიკიძემ და შავდათუაშვილმა.

წარუმატებლად ითამაშეს ამ ტურში ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა — „გურია" სიმფეროპოლში „ტავრიასთან" დამარცხდა — 0:2.

მეტად საჭირო ქულა ჩაიწერეს აქტივში ბათუმის დინამოელებმა — ბაქოში „ნეფთჩისთან" მათ ფრედ — 1:1 ითამაშეს.

ტურის სხვა მატჩები: „კოტაიკი" — „გეოლოგი" 1:1, „მეტალურგი" — „კაირატი" 0:2, ასკ (დონის როსტოვი) — „ფახთაქორი" 1:1, „სპარტაკი" — „ყუბანი" 1:1, ცსკა — „კუზბასი" 3:0, „დაუგავა" — „როსტსელმაში" 2:0, ასკ „კარპატი" — „ფაკელი" 3:1, „ნისტრუ" — „დინამო" (სტავროპოლი) 1:0.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 23 სექტემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 32 | 21 | 7 | 4 | 81–20 | 49 |
| „კაირატი" | 33 | 19 | 7 | 7 | 62–28 | 45 |
| „გურია" | 32 | 19 | 7 | 6 | 55–29 | 45 |
| „ფაკელი" | 32 | 15 | 8 | 9 | 36–25 | 38 |
| „ნეფთჩი" | 32 | 14 | 10 | 8 | 46–32 | 38 |
| „ფახთაქორი" | 33 | 14 | 9 | 10 | 49–28 | 37 |
| „დინამო" სტ. | 32 | 13 | 11 | 8 | 37–32 | 37 |
| „ნისტრუ" | 33 | 16 | 3 | 14 | 37–48 | 35 |
| „მეტალურგი" | 32 | 14 | 7 | 11 | 43–31 | 35 |
| „გეოლოგი" | 33 | 14 | 6 | 13 | 38–39 | 34 |
| „ტავრია" | 32 | 13 | 8 | 11 | 50–42 | 34 |
| „კოტაიკი" | 32 | 11 | 12 | 9 | 35–26 | 34 |
| „ტორპედო" | 31 | 14 | 4 | 13 | 49–50 | 32 |
| „როსტსელ." | 32 | 9 | 12 | 11 | 28–32 | 30 |
| „შინიკი" | 33 | 10 | 9 | 14 | 35–52 | 29 |
| „სპარტაკი" | 32 | 10 | 8 | 14 | 39–46 | 28 |
| „დინამო" ბ. | 33 | 9 | 9 | 15 | 31–50 | 27 |
| „ყუბანი" | 33 | 9 | 8 | 16 | 31–62 | 26 |
| ასკ რ. | 32 | 7 | 9 | 16 | 40–57 | 23 |
| „კუზბასი" | 32 | 6 | 10 | 16 | 16–36 | 22 |
| „დაუგავა" | 33 | 6 | 5 | 22 | 21–58 | 17 |
| ასკ „კარპატი" | 33 | 5 | 7 | 21 | 32–68 | 17 |

## საქართველოს პირველობა

**„სიონი" (ბოლნისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლები: ბასილაშვილი, ტყავაძე.

**„ამირანი" (ოჩამჩირე) — „დინამო" (ზუგდიდი) 0.0. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (ოზურგეთი).**

### XXVI ტური

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 5:4. მსაჯი გ. შავგულიძე (რუსთავი).** გოლები: ჩიბაშვილი, ვიბლიანი, მაღრაძე-2, კაკაურიძე (პოლ.ინსტ.), ხვარეშია, ტუკვაძე, ლილუაშვილი, ფანჩულიძე („საპოვნელა").

**„მზიური" (გალი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 2:0. მსაჯი ო. გაგუა (სოხუმი).** გოლები: ჯლარკავა, ყოლბაია („მზიური").

**„ივერია" (ხაშური) — „მადაროელი" (ჭიათურა) 3:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: თევზაძე-3 („ივერია"), ტეფნაძე („მადაროელი").

**„სულორი" (ვანი) — „დინამო" (გაგრა) 3:0. მსაჯი თ. სოფრომაძე (თბილისი).** გოლები: კანკავა, დვალიშვილი-2 („სულორი").

**„დურუჯი" (ყვარელი) — „სიონი" (ბოლნისი) 5:4. მსაჯი ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).** გოლები: სანადირაძე, ლობჟანიძე, ქაფიანიძე, ქარანაშვილი, ჭუნაშვილი („დურუჯი"), სამხარაძე-2, მოსეშვილი-2 („სიონი").

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 4:0. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი).** გოლები: ხურცილავა-2, შონია, პაიჭაძე (ფიზკ. ინსტ.).

**„არმაზი" (მცხეთა) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).** გოლი: ზ. ხუბერაშვილი („არმაზი").

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ზ. ძაგანაშვილი („არმაზი").

**„ბახტრიონი" (ახმეტა) — „სქური" (წალენჯიხა) 3:0. მსაჯი ლ. ჩიტაია (თბილისი).** გოლები: ტერტერაშვილი, თედეშვილი, ნაბელიშვილი („ბახტრიონი").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს გ. ტერტერაშვილი („ბახტრიონი"), ხოლო მსაჯთან კამათისთვის ხ. ლუკავა („სქური").

**„დინამო" (ზუგდიდი) — „შადრევანი" (წყალტუბო) 6:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).** გოლები: კვიტეტიანი-2, გოგოხია, აფაქიძე-3 („დინამო"), გიორგობიანი („შადრევანი").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ვ. მუშკუდიანი, ხოლო მსაჯთან კამათისთვის ა. ჩხაბერიძე (ორივე — „შადრევანი").

**„დურუჯი" (ყვარელი) — „სქური" (წალენჯიხა) 2:0. მსაჯი თ. ხადილიანი (თბილისი).** გოლები: ლობჟანიძე, ქარენაშვილი.

### მეორე ჯგუფი

#### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„კახეთი" — „ალგეთი" 2:1, სსი (მუხრანი) — „სამგორი" 3:0, „ქიზიყი" — „ჰერეთი" 0:1, „გარისი" — „თრიალეთი" 3:1, „შირაქი" — „ალაზანი" 0:3, „კოლმეურნე" — „გარეჯი" 6:4.

#### ცენტრალური ქვეჯგუფი

„ზარზმა" — „ჩიხურა" 1:5, „მეშახტე" — „მესხეთი" 2:1, „ქართლი" — „განთიადი" 8:2, „საირმე" — „ვარძია" 3:0, „იბერია" — „მამისონი" 2:2, „ფარვანა" — „ჩხერიმელა" 1:2.

#### დასავლეთი ქვეჯგუფი

„ბეთლემი" — „იმერეთი" 1:2, „ნარინჯი" — „დვაბზუ" 1:0, „ეგრისი" — „დარჩელი" 2:1, „ხვამლი" — „ჩიბათი" 3:3, „მეშახტე" — „ფაზისი" 1:0, „მენავთობე" — პოლ. ინსტ. (ქუთაისი) 1:0, „სალხინო" — „ოდიში" 4:1, „ზანა" — „ბახმარო" 4:2, „მშენებელი" — „სუბტროპიკი" 3:1.

ბოლო ტურების მატჩებზე თამაშებზე არ გამოცხადდნენ შემდეგი მსაჯები: ვ. შელია, მ. ჯულაყიძე, ნ. კვანტალიანი, რ. გარნოვსკი, ა. ქიქიაშვილი.

მსაჯების გამოუცხადებლობის მიზეზს უახლოეს დღეებში განიხილავს საქართველოს მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმი.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 23 სექტემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შადრევანი" | 25 | 16 | 8 | 1 | 52–21 | 40 |
| „მადაროელი" | 26 | 11 | 7 | 8 | 36–32 | 29 |
| „ამირანი" | 23 | 10 | 9 | 4 | 44–26 | 29 |
| „დინამო" ზ. | 20 | 12 | 4 | 4 | 53–23 | 28 |
| „სქური" | 26 | 12 | 4 | 10 | 36–34 | 28 |
| „სპარტაკი" | 24 | 12 | 3 | 9 | 45–29 | 27 |
| „ივერია" | 23 | 11 | 5 | 7 | 38–31 | 27 |
| სპი | 24 | 11 | 5 | 8 | 53–47 | 27 |
| „დინამო" გ. | 24 | 11 | 3 | 10 | 46–43 | 25 |
| „სამეგრელო" | 26 | 11 | 3 | 12 | 40–53 | 25 |
| „მეტალურგი" | 25 | 9 | 7 | 9 | 42–37 | 25 |
| „მზიური" | 23 | 9 | 7 | 7 | 36–32 | 25 |
| „სიონი" | 26 | 10 | 4 | 12 | 51–52 | 24 |
| „სულორი" | 24 | 9 | 6 | 9 | 35–36 | 24 |
| „დურუჯი" | 26 | 10 | 2 | 14 | 36–64 | 22 |
| „საპოვნელა" | 26 | 8 | 5 | 13 | 45–53 | 21 |
| „არმაზი" | 24 | 5 | 9 | 10 | 22–30 | 19 |
| „ბახტრიონი" | 26 | 6 | 5 | 15 | 29–55 | 17 |
| ფიზკ. ინსტ. | 22 | 5 | 3 | 14 | 33–43 | 13 |
| „არაგვი" | 23 | 3 | 5 | 15 | 20–50 | 11 |

**26 სექტემბერს**, 12 საათზე, რესპუბლიკის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოში გაიმართება საქართველოს პირველობის ზონებში მონაწილე გუნდების მწვრთნელთა თათბირი.

ხალუცნზ

## ჩოგბურთის ამბები

**ბარსელონა.** „გრან-პრის" სერიით მიმდინარე ტურნირის მეორე წრეში მსოფლიოს პირველმა ნომერმა ჩოგბურთელმა, ჩეხოსლოვაკიელმა ივან ლენდლმა დიდი გაჭირვებით აჯობა ესპანელ ხავიერ სანჩესს — 6:3, 6:7, 6:3. ავსტრიელმა თომას მუსტერმა დაამარცხა მექსიკელი აუგუსტინ მორენო — 6:4, 6:2, დასავლეთგერმანელმა უვე შტიბმა კი იტალიელ დიეგო ნარგისოს მოუგო 1:6, 6:1, 10:8.

**ლოს-ანჯელესი.** ამავე სერიის მეორე ტურნირში ერთ-ერთ ფავორიტად შვედი მექაელ პერნფორსი ითვლება, რომელმაც მერვედფინალში იუგოსლაველი სლობოდან ჟივოინოვიჩი ჩამოიცილა გზიდან (6:3, 6:0) და მეოთხედფინალში გავიდა, მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს, აგრეთვე, სკოტ დევისმა და აარონ კრიკშტეინმა (ორივე — აშშ).

**დალასი.** აქ მიმდინარე ქალთა საერთაშორისო ტურნირი ერთობ უფერულად დაიწყო ცნობილმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა პემ შრაივერმა. იგი პირველსავე წრეში დამარცხდა თანამემამულე ენ სმიტთან — 6:3, 6:7, 4:6.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

## „სპორტპროგნოზი"

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტპროგნოზის" 1989 წლის 38-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 16-17 სექტემბერს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 2.843.225 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (575) მოგება 74 მანეთია, 12 შედეგისთვის (7.792) — 10 მანეთი, 11 შედეგისთვის (46.222) — 6 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 146.094 ვარიანტი. 13 — 35, 12 — 471, 11 — 2.605.

საქართველოს სპორტსახკომი, გაზეთ „ლელოს" რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სპორტსახკომის საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსი

**უჯუ პროკოფის ძე მანჯგალაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ინდექსი 30455. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. 15 უე 00351